

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060502
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	120,000
სულ ბიუჯეტი:	120,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიწოდება. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას (არანაკლებ 15 წუთიანი მასაჟი -10, არანაკლებ 40 წუთიანი სამკურნალო ფიზიკულტურა -20), ბავშვისა და მშობლისათვის სამკურნალო ფიზიკულტურის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას. მომსახურების ღირებულება შეადგენს 178 ლარს.

ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0- დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.

- ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;
  - ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
  - მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
  - სახელმწიფო მზრუნველობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება	674	178	120,000
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	სარეკომენდაციო რაოდენობა		

ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედის) კონსულტაცია	1			
სამკურნალო ფიზკულტურა	20			
მასაჟი	10			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				120,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეუ	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	674	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი